საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

Legal Entity of Public Law
CIVIL AVIATION AGENCY

0114, თბილისი, საქართველო
I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114, TBILISI, GEORGIA
Beginning of I Kheivani Street
ტელ / Tel: (+995 32) 2 948 014
(+995 32) 2 948 002
ელ. ფოსტა / e-mail: office@gcaa.ge
ვებ-გვერდი / web page: www.gcaa.ge

N 07/1719
29/07/2021

1719-07-2-202107292041

To: All air carriers operating flights to/from Georgia

Dear Sir/Madame,

On behalf of Georgian Civil Aviation Agency, and in addition to our previous letters, I would like to inform you that from the 29th of July citizens and residents of Hashemite Kingdom of Jordan, Republic of Iraq and Lebanese Republic will also have possibility to enter Georgia if they hold a medical certificate with negative Coronavirus (COVID-19) PCR test result. The certificate must be in English. The test must have been taken at most 72 hours before arrival. Passengers are obliged to undergo additional PCR test on the 3rd day of arrival.

Sincerely,

Givi Davitashvili
Acting Director

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 1291 2021 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი

**„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის“ დანართ №2-ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ისრაელის სახელმწიფოს, თურქეთის რესპუბლიკის, შვეიცარიის კონფედერაციის, ნორვეგიის სამეფოს, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, საუდის არაბეთის სამეფოს, კატარის სახელმწიფოს, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ბაჰრეინის სამეფოს, სომხეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, უკრაინის, ყაზახეთის რესპუბლიკის, უზბეკეთის რესპუბლიკის, ტაჯიკეთის რესპუბლიკის, ყირგიზეთის რესპუბლიკის, თურქმენეთის, რუსეთის ფედერაციის, ბელარუსის რესპუბლიკის, იაპონიის, კანადის, ქუვეითის სახელმწიფოს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის რესპუბლიკის, მოლდოვის რესპუბლიკის, ომანის სასულთნოს, სან-მარინოს რესპუბლიკის, მონაკოს სამთავროს, სერბეთის რესპუბლიკის, ისლანდიის რესპუბლიკის, ლიხტენშტეინის სამთავროს, მონტენეგროს, ანდორის სამთავროს, ალბანეთის რესპუბლიკის, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის, ბოსნია და ჰერცეგოვინას, იორდანიის ჰაშემიტური სამეფოს, ლიბანის რესპუბლიკისა და ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეებსა და ამავე ქვეყნების ბინადრობის (ცხოვრების) უფლების მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან ამავე ქვეყნებიდან (მათ შორის, ტრანზიტული მგზავრობისათვის მესამე ქვეყნების გამოყენების შემთხვევაში).“.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**